

რეკლამები

პეპსი

საქართველოს ერთეულ-დემოკრატიული მარტის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

გულდათუბული ღვინა პეპსი მასხარაში... იაკინთე გრიგოლის ძე მასხარაში...

ღრმათ დამწებებულნი ქსანტე ალექსის ძე... იაკინთე გრიგოლის ძე მასხარაში...

ფოთის საბაგათან არსებული არტელის წევრნი... იაკინთე გრიგოლის ძე მასხარაში...

გულდათუბული კოლი კალია, ღვინა რბისი... ალექსანდრე სვიმონის ძე ნიქარაძის...

ღრმათ დამწებებულნი ნაათულები ტარასი... ალექსანდრე სვიმონის ძე ნიქარაძის...

ანონსი სხუთშაბათს, 20 მარტს, ნ. გამყრელიძის სირკში გაიძარტება...

კვირას 16 მარტს დილის 11 საათზე ქუთაისის სამხედრო სასურსათო საწყობში...

დაფუძნებული პრეზა და დაგროვილი პრეზა... მოგვინატრება, მომავალი თაობანი...



ლონო, ხალხის ნდობით აღჭურვილნი! მესვეურნი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მნიშვნელოვან მსურველნი მადლობა იმ დიადი ნდობისათვის, რომელიც შე გამოიხატა და შედამაისრეთ ის საპატიო და მძიმე მოვალეობა.

ნუ თუ დღესაც გამოჩნდება ისეთი ვი-მე, რომელიც გაბრუნდეს და იტყვის, რომ საქართველოს დემოკრატიის არ შესწევს ფიზიკური და გონებრივი ძალა, რომელიც ვაქარამც თუ საბირველი ჩაიყაროს, არამედ კიდევ განამტკიცოს ამ საფუძველზედ ციხე-სიმაგრე. თავისუფლების მოქალაქენო! დღევანდელი დღე ამჟამად დადგენს იმას, რომ საქართველოს დემოკრატია მომწიფებულია. მტკიცედ დამდგარა საკუთარ ფეხზედ და რომ იგი გამოსკვადავს თავის ბედს. დღევანდელი დღე ამის საუკეთესო მეტყველია.

მე ჩემს თავს ნებას მივცემ მოვიგონო სამი მომენტი ისტორიის უკანასკნელ საუკუნის მსვლელობაში:

მომენტი, როდესაც მე-19 საუკუნის განთიადზედ, საქართველოს მაშინდელმა მესავსებრებმა განიძრახეს, საქართველოს ბედი მიეცათ მეზობელ დიდი სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ.

თქვენ იცით, როგორი იყო ეს მომენტი! თქვენ იცით რას გამოვლოდნენ ამ სახელმწიფოდან და რა მიიღეს!

თქვენ იცით, რომ ამ სახელმწიფოში, რუსეთში ხალხი, დემოკრატია გმინავდა მაშინდელი სახელმწიფოებრივი რეჟიმის საღრმად გარემორტყმული.

მაგრამ საქართველოს საზოგადოებრივ მსვლელობის წიაღში ჩაისახა ახალი აზრი; ახალი ხანა დაუდგა; ახალი გეზი გამოჩნდა, რომ ხალხი განთავისუფლებულიყო და თავით გამხდარყო მქედელი თავის ბედისა და დასდგომიდა იმ გზას, რომელიც მიიყვანდა მას საკაცობრიო იდეალამდე და ეს გზა იყო ის, რომელიც შიქ საქართველო მოაქცია დიდმა რუსეთის რევოლუციამ.

თქვენ იცით თუ რა შედეგი მოჰყვა, ერთს მშურ სიარულს ორივე დემოკრატიისას.

ძველი თვითმპყრობელობა დაინგრა და დიდი რევოლუციის ალმა მოიცილა მთელი ხალხი, მას მიჰყვა საქართველოც.

ეს იყო 27 თებერვალი. გადავალოთ თვალი იმ ორი წლის ამბავს: რა გვექონდა იქ, რა გვაქვს იქ?

ჩვენ, ვისაც დასცნობდნენ, რომ რა შეუძლია ამ პატარა განუფთხებელ ერსაო, ჩვენ ისეთი მდიდარი გამოვდებით,

რომ გავგზავნეთ ჩვენი საუკეთესო ბენდნი ამ საისტორიო ბრძოლისთვის; ამ პირთა სახელი ძაქროს ასაგებით იქნება აღმუქვლილი რუსეთის რევოლუციის ისტორიაში და თუ ამას აქ ვგონებთ, მისთვის რომ უჩვენოთ ყველას, რომ ჩვენ შეგუძლია სხვასაც დავუხმაროთ. საკმარისია შედარება რუსეთის და საქართველოს მდგომარეობისა: აქ უნგრევე ყველაფერი, რაც რომ რუსეთის დემოკრატისა, შერგინდა, იქ ისაბა ყველაფერი, რაც რევოლუციამ მოუპოვა რუსეთის დემოკრატისა, დამარცხდა ჩვენი გზაც საერთო სიარულისა. ჩვენ მოგვწყვიტეს, დაგვეტოვეს, თუმცა იკადნენ, რომ ისეთი მეზობელი გვეყავდა, სადაც საზოგადოებრივი რეჟიმი შეფუბდა და ამ მეზობელსაც სწავდა ჩვენი დაპყრობა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

26 მაისიდან საქართველოს დემოკრატია გაფთხებული იბრძოდა, რომ შეენარჩუნებია მოპოვებული თავისუფლება. საუკეთესო შეიღები შეეწირა ამ ბრძოლის და აი, მათის სისწლით განბანილი დროშა მოვიტანათ აქ, რომ თქვენ დი-ცვათ იგი. ეს არის შედეგი ამ ბრძოლისა.

ჩვენ გვინდა მხოლოდ ერთი რამ: ნუ-რაინ შეგვიშლის ხელს. მე მინდა ეს განცხადება ყველამ გაიგონოს! ჩვენ გვი-ნდა, აზიან დავსტოვოთ და ვეროპას შევხედოთ.

ჩვენ გვინდა, რომ ვეროპის სახელმწიფოებრივ ოჯახში ჩვენც თანასწორი წევ-რი ვიყოთ. (ტაში);

და მე გმონია, რომ ვეროპა — ინგლი-სი, საფრანგეთი, ამერიკა, შვეიცარია და სხვა უკულტუროსანი სახელმწიფონი, ჩვენ ანგარიშს გავგიწვივინ.

მოქალაქენო! უკანასკნელად მე მინდა ხაზი გავუსვა ერთ გარემოებას: აქ არიან წარმომადგენელი ჩვენი მეზობელ რეს-პუბლიკათა და მე უნდა განვაცხადო, რომ თუ ჩვენ ერთად ხელი-ხელ ჩაკიდ-ბულნი ვივლით, მტერი მაშინ არც ისე საშიში იქნება. ერთხელ კიდევ გიძღვნი მღაბალ სალამს!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართვე-ლოს რესპუბლიკას და მის დამფუძნებელ კრებას! (ხანგრძლივი ტაში);

გამარჯვება ჩვენს სტუმრებს და მათ მიერ წარმოდგენილ სახელმწიფოებს (ხანგრძლივი ტაში);

საქართველოს დამოუკიდებლობის აქ-ტის დადგენის დღის წესრიგში სდგას დღევანდელი დღის წესრიგში სდგას

საერთო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის აღიარების. ნება მიმოქეთ წა-ვიკითხო აქტი. დამფუძნებელი კრება, მთავრობა, დიპლომატიური კორპუსი და მთელი საზოგადოება ფეხზედ ადგომით ისმენს აქტს (აქტის ტექსტი ჩვენი გაზე-თის პირველ გვერდზედ იბეჭდება). ეხლა ნება მიმოქეთ გთხოვოთ ხელი მოაწეროთ ამ აქტს. პირველად მე ვთხოვ მთავრო-ბას. (აქტს პირველად ხელს აწერს ნოე ჟორდანიანი, შემდეგ ყველა მინისტრები და დამფუძნებელი კრების ყველა წევრი-ბი. აქტის ხელის მოწერის შემდეგ, დამ-ფუძნებელ კრების შემადგენლობის სუ-რათს იღებს კინემატოგრაფი).

საქართველოს დამოუკიდებლობის აქ-ტი ერთხელ იქნა აღიარებული.

თავმჯდომარე: აქტზედ ხელი მოაწერ-რეს ყველა დელეგატებმა; ამრიგაით, აქ-ტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ ერთხელ იქნა აღიარებული.

შემდეგი სხდომის წესრიგში, რომელიც შაბათს 14 მარტს გაიმართება, დასმუ-ლია პრეზიდიუმის დანარჩენ წევრთა არ-ჩევნები და მთავრობის მოხსენება.

სხდომა დაიხურა ნაშუადღევს ორ საათზე.

ხალხის წინ.

დამფუძნებელი კრების გათავებისას, სა-სახლესთან აუარებელი ხალხი მოგროვ-და, რომელიც მოუთმენლად ელოდა სხდომის გათავებას. მათ მიმართა სიტ-ყვით დამფუძნებელ კრების თავმჯდომა-რემ ალ. ლომთათიძემ და წაიკითხა აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა.

აქტის კითხვას, მრავალ ათასიანი ხე-ლის ტაში სწყევტდა. ილაპარაკეს მათ ტრების წარმომადგენლებმაც.

ნაშუადღევს 3 ნახ. საათზე ჯარი, გვარდია და მილიცია მწყობრად, ეროვ-ნული პანგების სიმღერით, გაემართნენ ყველა ქუჩებით თავიანთ ნაწილებში.

სალამოს მთელი ქალაქი განათებული იყო ფერადი სანთლებით.

ახალი ამბავი

გრიშა მეგრელი შვილის ხსოვნას.

დღევანდელ ჩვენს გაზეთში ფელეტონი დათმობილი აქვს ვარდაცვალებული ახალ გავზდა მგონის გრიშა მეგრელი შვილის ხსოვნას. ეს ფელეტონი წასულ ოთხმა-ბათს უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ ტი-პოგრაფი მიზეზების გამო ვერ მოხერხდა.

ყველა განზრახული მასალები ვერც დღე-ვანდელ ნუმერში თავსდება.

ოსმალები ტრაპიზონს სცდნენ.

ქუთაისის ქალაქის გამგეობის სა-სურსათო განყოფილება აცხადებს საუბ-ნო კომიტეტებისა და მცხოვრებთა საყუ-რადლებით, რომ 17 ამა მარტიდან დაი-წყება მარტის ყველა შაქრის დარიგება უბნის კომიტეტების საშუალებით თითო გირვანქა სულზე ძველ ფასებში.

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ალექსანდრე სანიკიძის სახელოსნო-ში უტნობ პირს დარჩა ჯიბის დნა, რომ ლის მიღება შეიძლება ხსენებულ სახე-ლოსნოში.

ქალაქის გამგეობამ 13 მარტის სხდომაზე დაადგინა: მიეტყოს ავადმყოფ, ქალაქის სალოქის საავითმყოფოს ექიმს ი. ი. ჩარტკოვს ერთდროული დახმარების სახით 1000 მანეთი. ეს დადგენილება უნდა მოხსენდეს საბჭოს და უნდა შეაზ-დგომლობა აღმტრეს, რათა ეს რაოდენობა გაიღიდეს 10,000 მან.

პარტიული ცხოვრება.

ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ქალთა კრება.

კვირას, 15 მარტს, საღამოს სრულ 5 საათზე, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის ბინაზე დანიშნულია ეროვნულ-დემოკრა-ტიული პარტიის წევრების და თანამგრძ-ნობი ქალების კრება.

გასარჩევია ფრიად საყურადღებო და საჩქარო საქმეები. თანამოაზრე ქალებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

ქალთა წიგ.

გვანი მდგომარეობა.

საქართველოს უზენაესი ორგანო დამ-ფუძნებელი კრება უკვე შეიკრიბა. აქ ქართველი ერის სახელით საქართველოს თვითარსებობას და დამატურებენ, დამო-უკიდებელი საქართველოს იდეამ უკვე ხორცი შეისხა. ეს იდეა აწი კამათისა და პაექრობის საგანი არ იქნება. მაგრამ საჭებელურთ, დამფუძნებელ კრებაზე არაა „ერთობილი“ საქართველოს წარ-მომადგენლობა. საქართველოს პერიფერი-ები დღესაც ვერ გრძობენ ჩვენი მთავ-რობის ხელმწიფებას, თუ ეს პერიფერი-ები საქართველოს საზღვრებში მომ-წყვედელი, დიდი ნაწილი ჩვენი ტერი-ტორიისა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის იქით დარჩა.

ქართველი ჯარი ახლა ხელმწიფოთ სისწლითა და რკინით უფროებს დედა-სა-ქართველოს ისტორიულ მესხეთს. ალბათ ჩვენი ჯარის, ძლიერმოხილი წინსვლა არ

და უკანასკნელ ანთებში ჩუმად ჰკანკალებს. შეჩერდა გული, გადებურა მშვიდი ტრაური. დაემსხვრა კოშკებს ქარიშხალში მარჯნის კრამიტი. დაღუპულ მგოსანს დაეუფლა ჩონატაური! მწვანე საფლავზე აღანდებით სტირს სულამიტი!..

შალვა კარმელი.

გეგობრის საფლავა.

ვგრ შევეთვისე შევად მორთულ სასაფლაოს, მაგრამ მეგობრის საფლავში ის შემეყვარა. მეჯავრებულმა მარტოდ ხეტილი და უბედობამ ობოლად გამხადა.

მებრალბოდა ობოლი სული და უმგონსობამ დაიასწულა.

სიკალიერით ითალხება ობოლი სული, მეგობრის საფლავს მარტოდ ვდარაჯობ, ქალური ტკივილებით დნება კრემლები. დამდნარ კრემლებით იღვსება სიყვარული დამწვარი ნგოსნისა.

სიყვარული ცეცხლში იწვრთნება და დამწვარ მგოსნის თეთრი ლანდები ლექსებში ჰქრება.

ლექსებიც ჰქრება უმგონსობით, ყველაფერი ჰქრება... საფლავიც ჰქრება დამწვარი მგოსნის, მას სასაფლაო უყვარდა.

ლექსებს აქ ჰქმნიდა და ნაცნობ ასულთა საფ-ლავთ მუდამ ამკობდა.

თეთრი ბრინჯაბტეშებით ბაღები მან გააშიშგე-ლა და მივიწყებული სასაფლაო ბაღად აქცია.

თეთრ ლამებში ბრინჯაოს აკლდამებზე წა-მომხდარი თეთრი ლანდები, მგოსნის ლექსებით მხიარულობდენ.

მთებიც შეიყვარა გმირმა ნგოსანმა.

მესხეთის მთებში გამგონსა ვაცყაცის ხმალი. ხმლით გამოსკვდა გმირის სახელი და ააკვცესა მოსისხლე მტერი.

სული ჩაუდგა მებრძოლთა გმირებს და დაიღუპა... იყო მებრძოლი არის მოჩვენება. იყო მგოსანი და არის სული.

მოჩვენება და სული, მოქანტულობის დროს, ჩემი ოთახიდან შეპატკებდა.

შემეზოლა ჩემი ოთახი. მივატოვე და მეგობრის საფლავს, შევად მორთულ სასაფ-ლაოზე, ცრემლად ვადებო.

ვიტანჯები სწულით სულით და ქალური ტკი-ვილებით უმჩნევლად ვქრები.

მალე, მეც იქ დავიმხრებო.

ნიკ. ასათიანი.

დამწვარ გეგობრის გრიშას ხსოვნას.

მზე არ იყო დაბადებული და იგი კი მზეზე ლოკულობდა. მას არ ენახა ძვირფასი აზიური ფარჩა და თავის ცისფერ ასულებს ფარჩის მანტიამი აწუ-სიკებდა.

მას არ ენახა წითელი, გიჟი სიყვარული და სურდა სიყვარულის მთქნარება ჩამოეხია მარანას მთის დაღუპრისაგან.

იგი არ იცნობდა ენებას, და გნების ცეცხლი მასში ნდობას აღრევდა.

იგი იყო გიჟი ცხოვრების ვარდი ვარდივით ცელქი მოსუვენარი.

მას სძულდა ყვითელი, ლურჯი, ალაღმერთებდა წითელ ტაქის წითელ ფერ ფაფარს.

მას არ ენახა მთვრალი დარბაზი, გოთიურ სტილით, მაგრამ იგი წითელ როისის ქობშიაც მხი-არული იყო; იგი მზის სხივებზე არ დაბადებულა, მისთვის უცხო იყო ნავარდი ელეოსის მფრინავ რა-ხმების.

მაგრამ იგი იცნობდა კეთილ ქმუნვას, ტკბილ სევდას გიჟურ რიენსში.

მისთვის უცხო იყო ვნებიანი კიფეს თეთრი ქალწულები — მას უყვარდა რემბრანდტის მახინჯი ტიპები. და მზის ჩასვლის დროს, ოდეს მიდამო ე-ტქროს ფრად მოახლოვდებოდა, და მზის უკანას-კნელი მთქნარება სიკვდილს იწყებდა, იგი, ცხოვ-რების გიჟ დაფლურს უვლიდა და ტკბილ-სიცილის კრიალოსანს ბაღში ხევდა.

იგი — მარდი, იყო — ვით მარდია დემოფოონ-ტის წუხილი; სევდა.

იგი იცნობდა „კამონისის“ სულმწარე ვას-კოს. მაგრამ...

ოდეს დაღვა ერთი ყამი მან ვერ აღახმურა წითელი რაშების ჩუქურთმით ყრილი წითელ ფაფა-რი და მედრ — მეტყველება — ჩემი დღემილი არჩია...

და მღუმარებს დამწვარი სული გიჟი მეგობ-რის, და სასაფლაოში აკლდამები თუ ეტყვიან მის შეყვარებულ წითელ ტიპების ამბავს, მხოლოდ ისინი თუ აგრძობინებენ, რომ დღემილით აისახება თვით ყოველივე ალაღმფრთხე.

მაგრამ — ამეტყველებდა კი სასაფლაოს მუჩჯი აკლდამა?!. გაიგებენ კი ჩემს მეგობრის უსისხლო ნდომას?...

...არა მგონია

კ. კეიკელია.

გაჩერდება იმ ნაშუ, რომელიც მტერს არ დაუკარგავს საშეღებლად თავისუფლად სახელწოდო იპრატეები აწარმოოს. ახალციხე-ქალაქ-არტანუჯის სამკუთხედის დაქვე რა აუცილებელია, რათა თავი დაიჭიდებოდნენ ზედმეტი მსხვერპლის მოშავალოში გაწირვისაგან.

დღეს თითოეული მოქალაქეც კი გრძობს ქართველი ერის შენაწიერების აუცილებლობას.

საქართველოს დამოუკიდებლობის იდეასთან ერთად, საქართველოს ტერიტორიის ინტეგრირების დაცვა, ეს ალფა და ომეგა უნდა იყოს ჩვენში მთავრობის მოქმედება.

ეჭვი არ გვჭირდება, რომ საერთაშორისო დიპლომატიის საქართველოს ნაყოფი საშვილობის გამოვა, ჩვენი ქვეყანა უკვე ასკოლდა სკილას, ალბათ ის ხარობდასაც აკილოდება, მაგრამ თუ საქართველო ამ საერთაშორისო ქარტილის გადღეობა შეიძლება, შინაური მოუწყობილობა, ეკონომიური ცხოვრების ერთ წერტილზე გაყინვა, ფინანსური კრიზისი, მისი არ სწრაფობისათვის საბედისწერო შეიქმნება. ჩვენს ტრადიციულ იმპერიაში მდგომარეობას, რომ წარმოება არ ქმნის იმის მინიშნებას, რაც აუცილებელია ხალხის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებათ. ჩვენი სავაჭრო ბაზარი პასიურია. ჩვენ საზღვარგარეთ ცოტა საქონელი გავაქვს, რაც გავაქვს ისიც ნელი და დაუმუშავებელია. შემოსავალი კი ძლიერ ბევრი გვაქვს. ჩვენი სახელმწიფო ვალთ ცხოვრობს, ამის ბრალია, რომ ჩვენი მოქალაქე ქალაქის ფულს წლობით არ უყურებს. ამის ბრალია, რომ ჩვენი ფინანსური პოლიტიკა უვარგისი უქმარაფი არაპირდაპირი გადასახადი რომელსაც მიმართავს ხშირად ჩვენი მთავრობა, ამტკიცებს იმას, რომ ჩვენში ბირდაპირი დასაბეგრი ობიექტები არაა, მძიმეა ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა და უბრალო მოქალაქეც კი შეაშინებს ფინანსური კრიზისის ღანდს.

დამფუძნებელი კრების წინაშე ბევრნობი სახელის კითხვებია გადასული და დასაწყობად, რომელთა ამოწურვას მან მთელი თავისი ენერჯია უნდა მოახმაროს.

ბ ა თ უ შ ი .

მარტის 13. (საქ. კორეს.) მარტის 12 საქართველოს საელჩომ დამფუძნებელი კრების ვახსნის დღე აღნიშნა ეროვნულ დროშის აფრიალებით. საელჩოს მიულოცეს დიდებული დღე სიმშურ ცრუმნული საბჭოს წარმომადგენელმა და ქერძო პირებმა. საქალაქო საბჭო საჭიროდ სთვლის ფულის ტრალიის მოსაწყობიკებას და ვახსნას. ბათუმში სპეციალური მანქა, რომელსაც დაეყრება ყოველნობი ნიშნების გადახურადება და რის სავალდებულო კურსი ხმარებაში მყოფ ფულის ნიშნებზე. ნიკოლოზის და კერესკის ნიშნები აღიარებულ იქნენ თანასწორ დიკრებულად. ამერ-კავასიის ბონებზე დადებულ იქმნას მტკიცე კურსი არსებულ მაზრის მიხედვით და იმ პირობით, რომ მსურველებს ყოველთვის შეძლება კონდეთ მათი ყოველნობი ნიშნებზე გადახურადებისა სპეციალურ ბანკის ან საბანკო კანტორის საშუალებით. ბიერახოვის კოლის თაოსნობით გაიმართა საღამო ვარგზე მტერთან ბრძოლაში დაქრიდ მხედართა სასარგებლოდ. აღვილომბრივი რუსობა დემონსტრაციულად არ დასწრება. სამაგიეროთ მოხალისეთა სსარგებლოდ გამართულ საღამოზე ბლონად იყენენ. საიდმინისტრაციო საბჭომ ხსურველად სკოლა სკოლის გატან-გამოტანის თავისუფლება.

ახალსიხის ასპარაუზი
(დებეშები)
„ქაბატებით ცნობით გენერალ ახმეტელაშვილის მარჯვენა ფრთამ გუშინ საღამოთი შიდალწი აბასთუმანის რაიონს, აქ აბასთუმანი და ვარიანი დაიჭირა. 12

მარტი. 12 ს. 35. წ. პოლკოვნიკი გედევიანიშვილი“.

„ქართა 25. დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. გენერალ ფურცელაძის რანგშია გადაღობეს მღ. აბასთუმანი და დაიჭირეს: ხევაშენი, უნცა და შოლავერი. 12 მარტი 19 ს. პოლკოვნიკი გედევიანიშვილი“.

„ეს არის ეხლა მოვიდა ჩემთან ხოჯაოსანი, შევექი ვერუნი მიქელაძე. ივინი ალგენსკის და ვარხანსკის საზოგადოების მიერ არიან გამოგზავნილი ნდომის გამოსაცხადებლად. მივეგზავრები ბენარუში, სადაც დღეგატემა შეიკრიფებიან, იქ წაუყენებ პირობებს, სამხედრო მოქმედების შეჩერების და საომარ ყველა მასალის გადმოცემას, რის შემდეგ უტოლდებებს ნებას მიუცემ სახლი დაბრუნდნენ.“

ხეალ საღამოთი უქანსკენლ პირობების შესრულებას მოუახოვ, რისთვისაც საჭირო იქნება თქვენი განკარგულებანი. ჩემ მოსაზრებებს გადმოცემთ დღეგატეასთან მოლაპარაკების შემდეგ. ქაბდიანთაის რაიონის მცხოვრებნი იმეღია თანახმანი გახდებიან დამემორჩილონ. 12 მარტი 14 ს. 25. წ. კენიკაძე“

„ჩემდამი რწმუნებულ რანგში 18 ს. დაიჭირა ადგილები: ვალე და წყალბინლა. ამასთან ერთად არ შემოდიან არ ადენიშო მესამე პოლკის მიერ თავის მოვალეობის ბრწყინვალედ შესრულება, რომელსაც მუშაობა თოვლში. მთებში და მაღალ ქედებში მოუხდა, ხეც, ორლის და წყალბინლს შორის, მიუხედავად ამისა მან გაარღვია მტრის რკალი და დაიჭირა 581,1 სიმღლეები. ჩვენი ჯარის მოულოდნელი გამოსვლით მტერმა დაიბია ნებრბა, წინუბანის, უფუღას რაიონებისკენ. მტერმა, რომელიც მომწყვდელი იყო ორივე მხარეს, დაპარგა საგრძობი ძალი. ბრძოლის გელზე დარჩით ბევრი დახოცილ-დაქრდი. ხეცო, ორალი გარღვეულია, რომლის შემდეგ იხვედა ჩვენი ჯარი, რომელნიც მხოტრებულბს არწმუნებდნენ, რომ 11 მარტს იგნვი აიღებენ ახალციხე-აწყურის და მხაილოვში იქნებიან. მესამე პოლკის ერთად რომელსაც პირველი პოლკი ემმარებოდა ვადვიზრა მტრის ფრთა და დაიჭირა მისი ადგილი. მდებულება ზომეში მის დაცვისთვის. გენერალი ართმედაძე“.

„მაქვს ბუდიერება ვახლოთ პირველი დივიზიის გრძობა: ერთი შეტყობით მან თავზარი დასცა მტერს, დაედეგა ფეხ დაფეხ, ბრძოლით გადაღობა თოვლიანი მთებში, დაიპყრო გზა და გზა მთელი წყება გამაგრებულ სოფლები. მარცხნივ შემოვლით, შვიდ მარტს, დილით ვადასკრა სოფელ მინძასთან ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილი. ცალკე ნაძალის მოუხერხებულ ადგილას დაყენებით უზრუნველყო რაზმის მოქმედება მტრის თავდასხმისაგან ახალქალაქის მხრით და ვაგმურა ახალციხის დასაჭვრად, მაგრამ აქ მოუხერხო ბრძანებამ, შეჩერებულიყო. არ ყოფილა შეზობვევა პოზიციიდან დგზერტირობისა, ყველა ერთიან ყიყინით გადადობა იკრიშვებზე: მუღმივ ბრძოლის დროს მათთან ყოფნამ დაპარწმუნა, რომ ჩვენს ღირსეულ სამშობლოს ჯარის სახით ღირსეული დამცველი ყვეოლებმა. პირველი დივიზიის ჯარისკაცები მზად არიან კლავაც თავზარი დასკენ ჩვენს ერის მტრებს“.

პოლკ. ართმედაძე.
დებეშები.
(საქ. დგმ. ხაგვანტო).
12 მარტის
პოლკოვნიკი ანდრეაგი
კიგვი. მარტის 12. საგუბერნიო სამხედრო კომისარატმა გამოაცხადა 1883 წ. დაბადებულ ბურჯუების მობილიზაცია.

ამ მობილიზაციის დროს მეტი რიცხვი გამოცხადდა, ვიდრე პირველ მობილიზაციის დროს. ტალნოვის რაიონში საბჭოთა ჯარმა დაიჭირა კინევი-ქალაქოკი და ლიგინი. მოწინააღმდეგე უქანხეგს. უკრაინაში პურის, შაქრის და მარილის სამრეწველოების ნაკონალიზაცია გამოაცხადეს.

უკატერიინოდარი. მარ. 3 დონის ფრონტზე და ყუბანზე თვორგვარდიელების დამარცხების შემდეგ, დონის მთავრობა დახმარებას მოითხოვს როგორც წარსულ წელს, დონის უზახების არ ყმბრობიან მთავრობას საბჭოთა ჯართან ბრძოლაში.

ინვლისური პრისა

ბერძნების როლი ფრაციის ეკონ. ცხოვრებაში.
საბერძნეთის საქმეების კომისიამ მოახსენა ფრაციის წარმომადგენლებს ოსმალეთის პარლამენტის ყოფილ დეპუტატს ვაშაქასსა და აღრიანოპონელ ინჟინერ ანტონიადსს, რომელმაც თავის მოხსენებაში დაახასიათა ბერძნების როლი ფრაციის მოწაწყლის ნაყოფიერება.

გერმანიის ფინანს. ბლოკადის მოხსნა.
ბიუნგელის მოლაპარაკებას, როგორც მიუღიან, მოყვება გერმანიის ფინანსიურ ბლოკადის მოხსნა. ეს ბლოკადა კომერციულ ბლოკადისთან ერთად იყო შემოღებული და მაშინვე გამოუცხადეს ნეიტრალურ ქვეყნების ფინანსიურ წრეებს, რომ თუ გერმანიას ფული ასესხეს, მაშინ მოკავშირეები შესწყვეტენ მათთან ფინანსიურ ურთიერთობას.

მაშინვე იქმნა მიღებულ ზომები ნეიტრალურ ქვეყნების იმ ბანკერთა წინააღმდეგ, რომელნიც გერმანიას ფულს აწვდიან. ამნორად გერმანია სრულიად განდევნეს ფულით მსოფლიო ბაზიდან. ბლოკადის მოხსნის შემდეგ ცენტრალური ფინანსიური წრეები გერმანიას სესხს მისცემენ სურსათის ღირებულების გადასახდელად. სანდონაის ქვეყნებს განსაკუთრებით დანაის, დიდბლი ფული აქვს, რამაც გამოიწვია ოქროს შემოზიდვის აკრძალვა, მაგრამ ბლოკადის მოხსნის და გერმანიისათვის ფუ

ლის მიუქემის შემდეგ მდგომარეობა შეიცვლება.

საბერძნეთის ფრაციის საქმეები იწყებებიან, რომ სამხედროთის საქმეების კომისია ვერ შეუძლებს საქმეების მოშავალ ტერიტორიის საკითხში. კომისიის უმეტესი ნაწილი, ვეროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლები მოითხოვენ, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ, რადგანაც ამ ქალაქში უმეტესად ბერძენი სცხოვრობენ და რადგან ეს ქალაქი ათანს პირდაპირ ამყოფება და გაყოფილია მხოლოდ ვევის ზღვით. ამ აზრს არ იზიარებდა ამეროვის დელოვატი, რამდელიც სმირნას უსაჭიროებს წავლსადგურად სოფლიად მკიერ აზიის ქვეყნების სავარყო ვაჭრობისათვის. ამის გამო ამ საკითხის საბოლოო გადაჭრა მიენდობა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს და დეკარტების კუნძულები, რომელიც ამ ქამად იტალიის უჭირავს, საბერძნეთს გადაეცემა.

ფრანგული პრისა

კლეშანსო.
კლეშანსო ლინდსერის თანახმებით გაგზავრა ბრიუსელში, სადაც მოწაწილობას მიიღებს მოკავშირეთა შორის სურსათის მისაწვდენის კომისიაში.

1880 წ. ტრაქტატის გადასინჯვა.
ბელგიის დამტკიცება პალატის უახმათის სხდომაზე პრემიერ მინისტრმა დელაკრუამ წაიკითხა შიხსენება, რომელიც დამსწრეთ ფეხზე დგომით მოისმინეს. პრემიერმა სთქვა: „მაქვს პატივი პალატას ვაფწყო, რომ მოკავშირეთა უზოდღესმა საბჭომ ისმინა ბელგიის დელოვაციის თხოვნა და საჭიროთ აღიარა „1889 წლის ტრაქტატის გადასინჯვა. პარლამენტო და ქვეყანა კმაყოფილების გრძობით შეგვდება ამ გადაწყვეტილებას. 1889 წელს მარტის 12, დღევანდელ დღეს, 30 წლის წინად ამ პალატაში გაისმოდა გამოსახიარო სიტყვები იმ პაროვინციების წარმომადგენლებისა, რომელნიც 24 მუხლისაგან შემდგარი ტრაქტატის ძალია ბელგიას უნდა ჩამოშორებოდა. დებუტატთა პალატა ტამის კრით მივეგება ამ ცნობას.“

ხელის მომწერთა
ს ა ყ უ რ ა დ ლ ე ბ რ თ
მაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ. რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება, დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შეწყვიტოს გაზეთის გზავნა.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის
ყოველ დღიური ბაზათ
„რევიზი ქვეყანა“-ი
გაზეთის ფას: ერთი თვით 10 მან. სამი თვით 25 მან. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან სამათამდე, საღამოს 5-7 საათამდის.

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი
საქართველო
1919 წ. წ ა ლ ი წ ა ღ ი მ ა ხ უ თ ი 1919 წ.
გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 13მან მანეთი.
მისამართი: თფილისი, სასახლის ქუჩა, № 5, (ქართული ქარვისლა).
ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრაფი: სფივის: თფილისი, „საქართველო“. ტელეფონი № 15-73.